# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

**ბრძანება №19/ნ**

**2012 წლის 26 იანვარი**

**ქ. თბილისი**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ[4]" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასური შემდეგი ოდენობით:

1.1. ვებსაიტის ჰოსტინგი და მომსახურების სერვისები:

**ა) ვებგვერდების ჰოსტინგი (ყოველთვიური გადასახადი):**

ა.ა) 3გბ –10 ლარი

ა.ბ) 5 გბ – 20 ლარი

ა.გ) 20გბ – 50 ლარი

**ბ) სერვერების/ბაზების ჰოსტინგი (ყოველთვიური გადასახადი):**

ბ.ა) 5გბ – 80 ლარი

ბ.ბ) 15 გბ – 100 ლარი

ბ.გ) 30 გბ – 150 ლარი

ბ.დ) 100 გბ –300 ლარი.

1.2. ცენტრალური კომპიუტერული ქსელის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი) – 700 ლარი.

1.3. ინტერნეტპროვაიდერული მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი):

ა) 1 მბ/წმ – 150 ლარი

ბ) 2 მბ/წმ – 300 ლარი

გ) 5 მბ/წმ – 750 ლარი

დ) 10 მბ/წმ – 1500 ლარი

ე) 20 მბ/წმ – 3000 ლარი.

1.4. საკომუნიკაციო ქსელის (VoIP) მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი) – 700 ლარი;

1.5. ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი) – 1000 ლარი.

1.6. პერსონალური კომპიუტერის მომსახურება (ყოველთვიური გადასახადი თითო კომპიუტერზე) – 25 ლარი.

1.7. მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება – (ყოველთვიური გადასახადი) 800 ლარი.

1.8. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ 30-მდე პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 190 ლარი.'

1.9. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ 31 და მეტი პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 380 ლარი.

1.10. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო ან კერძო სამართლის სამწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული სწავლების ცენტრის/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, რომელთაც გააჩნიათ 30-მდე პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 300 ლარი.

1.11. საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის საფასური იმ კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზოგადსაგანმანათლებლო ან კერძო სამართლის სამეწარმეო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის პროფესიული სწავლების ცენტრის/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომელთაც გააჩნიათ 31 და მეტი პერსონალური კომპიუტერი – (ყოველთვიური გადასახადი) 600 ლარი.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 მარტის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 28.03.2012წ.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის ბრძანება №72/ნ - ვებგვერდი, 02.04.2012წ.*

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**დ. შაშკინი**

**შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 მარტის ბრძანება №68/ნ - ვებგვერდი, 28.03.2012წ.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის ბრძანება №72/ნ - ვებგვერდი, 02.04.2012წ.